№ 186 8 ენკენისთვე, შაბათი 1866—1879 8 ენკენისთვე, შაბათი № 186

დროება

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ერთი ასოებით ასოზე 1 კაპ., ორ-სამ-ოთხ ცალ-ცალკეთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამზადებული სტატიები. დაბეჭდილ სტატიებს ავტორს არ დაუბრუნდებენ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

УЧРЕЖДЕНО ПРИ ТИФЛИССКОМ ГУБЕРНАТОРЕ

УЖЕ ДЕВЯТЬ ЛЕТ ВЫХОДИТ ЕЖЕНЕДЕЛЬНО

ღვთის-მშობლის დაბადების დღესასწაულის გამო, ხვალ, კვირას გაზეთი არ გამოვა.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — ხუთი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 5 სექტემბერს. ბუშინ დაბრუნდა ბერლინში ბერმანიის იმპერატორი ვილჰელმი და აგრეთვე რუსის ელჩი უბრი.

ლონდონი, 5 სექტემბერს. ბუშინ გაიგზავნა პორტსმუტიდამ ბომბეიში (ინდოეთში) ხომალდი, რომელზედაც იყო 40 აფიცერი; ეს ხომალდი კაპიტანიდამ წაიყვანს 1100 უნტერ-აფიცერსა და სალდათს, რომელნიც ეგვანის ჯარის გასაძლიერებელად იგზავნებიან.

ლონდონი, 5 სექტემბერს. ამ მოკლე ხანში ინგლისისა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრები მარკიზ სალსბიერი და ვადინგტონი ნახვენ ერთმანეთს იმ განზრახვით, როგორც ამბობენ, რომ მეგვიპტისა და საბერძნეთის საქმეებზედ მოილაპარაკონ.

ბერლინი, 5 სექტემბერს. პრუსიის სეიმი 30 სექტემბრისათვის იქნება მოწვეული.

ლონდონი, 5 სექტემბერს. კაპტაუნიდამ (კაპის კოლონიიდამ) მოვიდა ამბავი, რომ ზულუების მეფე სეტეკვაიო ინგლისის ჯარმა დაატყვევეო.

კეტერბურლის ბირჟა, 5 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 94	— 87
მეორე — — —	— 93	— 50
მესამესი — —	— 93	— 50
მეოთხესი — —	— 93	— 25
ალმოსავლეთის პირ.	— 92	— „
ალმოსავლეთის მეორე	— 92	— „
ალმოსავლეთის, მესამე	— 92	—
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	— 88
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	— „	— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— 232	— 95
მეორე სესხის	— 229	— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 25	—	პენსი
ბამბურღი	— — 127	— 37	ცენტი
პარიჟი	— — — 265	— „	სანტიმი
ვენა	— — — 214	— 75	პფენიგი
კავკასიის კერასინი	— — —		

საქართველო

სიძვირე და ცუდ-კაცობა

ეს ყველასგან შენიშნულია ჩვენშიაც და სხვაგანაც, რომ როდესაც ცუდ-მოსავლიანი წელიწადია, როდესაც საზრდო და სხვა, რაც ადამიანის ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, გაძვირდება და იმის მოპოება უძნელდება ღარიბ ხალხს, ყოველთვის ამ დროსვე ხშირდება ხოლმე ქურდობა, კაცის-კვლა, ავაზაკობა და სხვა ყოველგვარი ცუდ-კაცობა.

რასაკვირველია, ბევრ საძაგლობას, ბოროტ საქმეებსა და ათას-გვარ ქურდობას სჩადიან ისეთი პირებიც, რომელთაც ლუკმა-პური არ უჭირთ, ზნეობით დაცემულნი და სინიდისისაგან ხელ-აღებული არიან. მაგრამ საზოგადო კანონი კი ეს არის, რომ გარდამეტებულ სიღარიბეს, უსახლ-კარობას, შიმშილს თან მოსდევს ქურდობა, ავაზაკობა და კაცის-კვლაც; საზოგადო კანონია, რომ ამ ორ მოვლენას შუა დიდი და დაახლოებული კავშირია: ერთიცა და მეორეც ორივე ერთ დროს ჩნდება.

ამ მოვლენის სინამდვილეში ჩვენ, თფილისის მცხოვრებნი, ხშირად დაერწმუნებულვართ და ახლაც, წელსაც, ვრწმუნდებით.

მართლა, თუ კალიისა, თუ თაგვისა და თუ სხვა გარემოების წყალობით, წელს თითქმის შემშილობას მოელიან და ახლაც კი საშინელი სიძვირე ჩამოვარდა ქალაქში და მთელს საქართველოში. ამას თან მოჰყვა გახშირებული ქურდობა და ავაზაკობაც. დღე არ გადის თითქმის, რო არ გავიგონოთ, ამადა-ამ ქუჩაზე ესა-და-ეს კაცი გაცარცეესო, აქ სახლი გაქურდესო, იქ მაღაზია გატეხესო და სხვ.

პირველი და ძირითადი საშუალება ამგვარი ცუდ-კაცობის მოსპობისა, რასაკვირველია, არის მოსპობა შიმშილისა და სწავლა-განთლების გავრცელება. მაგრამ საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრება ძველი პერანგი როდია, რომ იმასავით შეიძლებოდეს სილარიბის, შიმშილისა და უმეცრების გახდა და კმაყოფილების, განათლებისა და კეთილმდგომარეობის ჩაცმა, თითქო ახალი, სუფთა პერანგიაო. ადამიანის ცხოვრება ერთობ რთული რამ არის, იმის კეთილ-მდგომარეობა, იმის გამოცველა, ცუდის მოსპობა და კარგის შეძენა ერთობ ნელ-ნელა, ერთობ ბევრის წვალებითა და შრომით ეძინება ხალხს, ერთობ ბევრ დროებას თხოულობს.

მაგრამ სანამ ამ საზოგადო კეთილ-დღეობას მივაღწევდეთ, სანამ ისეთს დროებას მოვესწრობოდეთ, როდესაც ლუკმა-პური ძნელი საშოვარი არ იქნება კაცისათვის და განათლება ყველგან გავრცელდება, მანამ ცუდ-კაცობის და ყოველი გაჭირების მოსასპობლად საჭიროა დროებითი, პალიატივური საშუალების მოპოება და ხმარება.

ამგვარი დროებითი დახმარება და პალიატივური საშუალება საჭიროა ახლა ჩვენის ქვეყნისათვის, რომ ამ ზამთარში შიმშილობა არ გაჩნდეს ჩვენში და ამას თან უარესი, უფრო გახშირებული ავაზაკობა და ცუდ-კაცობა არ მოჰყვეს თან.

ჩვენ ვიცით, რომ მთელ თფილისის უეზდში, ქართლში და ზოგან კახეთშიაც თითქმის სულ ყოველ გვარი ნამუშევარი გაფუჭებულია კალიისა, თაგვისა და ნაცრისაგან. ამით აიხსნება ის საშინელი სიძვირე პურისა და ყოველ გვარ ხორაგისა, რომელიც ჩამოვარდა

ამ ჟამად ჩვენში: ფუთი პური ამ ჟამად ზოგან სამ მანეთად და მეტად ღირს; თუ ახლა ასეა, შუა ზამთარში რაღას უნდა მოველოდეთ?!

ამისთანა მდგომარეობაში მთავრობა არის მოვალე დაეხმაროს ხალხს, და მხოლოდ იმას შეუძლიან დახმარება.

ეს დახმარება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ უფრო იაფ-ფასად მიაწოდოს ხალხს პური და სხვა ხორაგი. უნდა მიაწოდოს სესხით, რამდენიმე წლის განმავალობაში გადასახდელად. მაგრამ ისე კია, რომ ყოველი დახმარება პირ-და-პირ ხალხამდინ მივიდეს და ამით სხვებმა არ ისარგებლონ...

თუ მთავრობამ ხელი არ მოუმართა ხალხს, აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც თვითონ იკისრებენ ამ ხელის-მომართვას; აღმოჩნდებიან ვაჭრები, ფულის-მსესხებლები, ჩარჩები და სხვა ამ გვარი სულდგმულები, რომელნიც მიაწვდენენ გაჭირებულ ხალხს ფულსაც, ფქვილსაც და სხვა ყველაფერს. მიაწვდენენ, მაგრამ ვაი ამისთანა მიწვდენას! დღეს რო ხელს მოუმართავენ, ხვალ ცხვირიდამ ძმარს ადენენ; დღეს რომ კაპეიკს ასესხებენ, ხვალ მანეთს გადაახდევინებენ და თუ ვერ გადაიხადა, ადგილ-მამულს, შინაურ ავეჯეულობას, ყველაფერს გაუყიდიან; დღეს რომ ერთ კოდ პურს მისცემენ, ხვალ ათს გამოართმევენ და სხვ.

ვიმეორებთ, მთავრობა მოვალეა და მხოლოთ იმას შეუძლიან, ამ გაჭირებულ მდგომარეობაში დაეხმაროს ხალხს...

ს. მ.

დღიური

*** ჩვენ გავიგონეთ, ვითომც „ტფილისის დამზოგველ საზოგადოებას“ განზრახვა აქვს ასი ათასი მანეთი სთხოვოს მთავრობას იმ მიზნით, რომ ამ ფულით ფქვილი იყიდოს და ზამთარში იაფ ფასად გაჰყიდოსო.

ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ, თუ მართალია, დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა არ შეასრულებს ამ საზოგადოების შუამდგომლობას. არ შეასრულებს იმიტომ რომ ამ საზოგადოებას ამგვარ ქველ საქმეებში არასოდეს არ გამოუჩენია თავი; საცა საზოგადოების მოთავედ იმისთანა კაცები არიან, როგორც რეალური სასწავლებლის ინსპექტორი უფ. ივანენკო, რომელიც მამა-სისხლის სარგებლით ფულებს ასესხებს და მხოლოდ თავის ჯიბეების გატენისათვის დაუჭყეტია თვალები, იქ ამ გვარ საზოგადო სასარგებლო საქმეების შესრულებას არ უნდა მოველოდეთ.

*** მომავალს ოქტომბერში, როგორც „ტფილისის მოამბე“ გვაცნობებს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იქნება საქმე ყალბი პილეთების გავრცელების შესახებ. ამბობენ, რომ ამ საქმეში ბრალდებულნი ორმოც კაცამდინ არიანო და სამასზე მეტი მოწმეებათაო.

*** დღეს, 7 ენკენისთვეს, დაიწყო მაჰმადიანების ბაირამის დღესასწაული, რომელსაც სამის დღის განმავალობაში დიდის ამბითა და ქეიფით დღესასწაულობენ ხოლმე ტფილისელი მაჰმადიანებიცა.

„დროების“ კორრესპონდენცია

საჩხერე, 29 აგვისტოს. გუშინწინ ნაშუადღევს უეცრათ გამოიცვალა აქ ჰაერი: მობერა ქარიშხალი, აღმოსავლეთიდგან გაჩნდა ღრუბელი, თან მოჰყვა საშინელი ელვა-ქუხილი და თუმცა საჩხერეში გასამხელი წვიმაც არ ყოფილა, მაგრამ რამოდენიმე მახლობელ სოფლებში: ჭორვილაში, ბორისაში, საირხეში, მერჯევში და ჩიხაში ისეთი საშინელი სეტყვა ჩამოუშვა, რომ სულ ერთიანათ ააოხრა ნამუშავარი. სეტყვა სიმსხოთი კაკლის ოდენა ყოფილა და ნამუშავარს გარდა ბევრი შინაური და გარეული ფრინველებიც უმსხვერპლია.

ეს ავდარი დიდხანს არ გაგრძელებულა და როდესაც გამოიდარა, სოფლის ბოვშვებს სიხარულით ებოჭათ მინდორში ცოცხალ-მკვდარი ჩიტები.

შესანიშნავი ზარალი მოუტანა ამ სეტყვამ ნამეტურ ვენახებს: სანახევროთ მწიფე ყურძენი სულ ერთიანათ ძირს ჩამოუშვა.

საწყალი გლეხები მთლათ გაოხრებულ მარცვლებს ხვეტენ მიწაზე და აგროვებენ დასაწურავათ; მაგრამ რაღათ ივარგებს..

ხეხილებისათვის ტოტებიც აღარ შე-

ფელტონი

ისტორიული მასალები

(გაგრძელება*)

ეს გამარჯვება 1771 წ. აპრილის 23-ს მოხდენილა. ბევრს სამშობლოს მოყვარე მესხ-მაჰმადიანებს ამითი თვალი გაღებიათ, მოუნდომებიათ ახალციხისა მეფე ერეკლისთვის მიცემა. ამათი მოთავე ყოფილა ხერთვისელი იბრაიმ-ბეგი. ჯერ ხელ-ქვეშ ფარულად კაცები უგზავნია მეფისთვის და მერმე თავის ფეხით მისულა და გაუცხადებია თავისი აზრი. მიუღია მეფეს მისი თხოვნა და მეორე წელს მისულა სალდელად საქართველოს მხედრობითა ღვინობისთვის დამლევს ხერთვისზედ. თურმე თავისთან ხლებულ წინმძღოლ ხიზაბავრელებს ჰკითხა მეფემ:

— ბიჭო, ხერთვისელებმა რომ მიღალატონ, თქვენ რასმეს მიშველითო?

მიუგეს:

— ჩვენ თავად, ბატონო, ყოველს გასალდელში გიდგივართ, ჩვენ თავსაც არ დაგიზოგთ სასიკვდილოდა. მაგრამ ჩვენი სოფლის თავდებად კი ვერ დაგიდგებითო!

მეფემ ჰკითხა:—რათა, რისთვის?

მიუგეს:—იმისთვის, რომ მუდამ არ გიწვდებათ ხელი, რომ დაგვიფაროთ ოსმალოებისგან და ჩვენ მუდამ ოსმალოების მძლავრობით თვალიც გატეხილი გვაქვს და გულიცაო!

ამ სიმართლის სიტყვისთვის მეფე ერეკლეს დაუსაჩუქრებია ის ხიზაბავრელი. მართლა იბრაიმ-ბეგს გულ-მართლობით მიუცია ხერთვისის ციხე ცოცაოდე სროლისა და კინკლაობის შემდგომ, დაშთენილან ორ თვის ოდენ მეციხოვნენი. ბარნა შემდგომ აუკლიათ, აუოხრებიათ ხერთვისი და ციხეც მიუტოვებიათ ისევ ოსმალოებისათვის. ამაზედ არის ნათქვამი:

ერეკლემ არ მოიშალა ის თავის მუცლის ჩხვერაო,
ადგა და წინ წამოუძღვა, მთვარე არ იდგა, ბნელაო,
ხერთვისის ხიდსა შემოსდგა, თოფსა არ გააქვს ძგერაო;
თათრებმა თავი დაუკრეს, წინ ვერ დაუდგნენ ვერაო!
ხანუმებმან გადმოხედეს, პირზედ გადაჰკრათ ფერმაო:
ვაი თუ ჩვენ დაგვიმძვირდეს ამ სარაითგან ცქერაო!..

შენ ერეკლეო ხმლიანო, ცხენ მაღალ უნაგრიანო!
შენი ნახოცი ლეკები ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
უვავი, ყორანი ლეშსა სჭამს, კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო,
ვაი იმათ გაჩენასა, რა გონჯ ალაგას ჰყრიანო!...

ამ ხანებში ყოფილა, რომ ახალციხის კათოლიკებს ზოგიერთი თავი-ენიჩრების რჩევითა, გაუგზავნიათ ლეკი ვიცდა სტამბოლს გასაფაშაევბლად. მოთავე ამ საქმეებისა ყოფილან ეთესაშვილი, იანულიშვილი, კრუხიჭამიაშვილი, ხოჯევანაშვილი, მეფისაშვილი და სხვანიცა. 25 ქესა თეთრი მიუციათ გზის ფულად და გაუსტუმრებიათ ამ პირობით, რომ სულეიმანის ადგილას გაფაშებულიყო და საქართველოს აოხრება, ტყვეობა მოესპო და ნელ-ნელა, დამეგობრებით მეფე ერეკლესთან, შემდგომ ახალციხეც შეერთებინა საქართველო-საიმერეთოსთან ერთიანად.

ამ კეთილ განზრახვას პირველშივე წარმატება მისცემია. იმათ ფირმანის დასამტკიცებლად კიდევ 25 ქესა თეთრი სხვაც უთხოვია ახალციხელებისთვის და იმათაც შეუყოვნებლად გაუგზავნიათ. როცა ფირმანი აულია და მომზადებულა წამოსასვლელად, ვილაც ღვთის მტერს

*) „დროება“, № 185.

ურჩენია, თორემ ხილი ხომ სრულიად მიწაში ჩაუსრესია.

„ამავე დროს ამისთანავე სეტყვა ყოფილა რაადენიმე სხვა სოფლებშიდაც სამხრეთით, საიდგანაც ზემოთქმულს სოფლებს გადმოყვა. მას აქეთ გუშინაც და დღესაც საძაგელი წვიმიანი ამიდგია აქ და საშინელი ქარიც ქრის ხან აღმოსავლეთით და ხან დასავლეთით; სახლების სახურავები სულ ფრიალ-ფრიალით მიაქვს.

საჩხერელი.

თეატრი

სომხური წარმოდგენა 3 სექტემბერს.

ახლად-შემდგარ თფილისის სომხურ სამუდამო ტრუპპას ჯ-ს ამ თვეს ჰქონდა პირველი წარმოდგენა. ამ დღეს პირველად გამოვიდნენ სცენაზე სტამბოლიდამ მოყვანილი უმთავრესი მოთამაშეები უფ. ადამიანი და სირანუშისა და ასტგიკის ქალები.

თფილისის სომხის საზოგადოება, როგორც ეტყობოდა, მოუთმენელად მოელოდა ამ პირველ წარმოდგენას; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ საღამოს თეატრი სავსე ყოფილა ხალხით.

საუბედუროთ, ჩვენ ვერ დავესწარით ამ წარმოდგენას; მაგრამ ვინც დაესწრო, იმათგან გავიგონეთ, რომ პირველი ორი მოქმედება იმ იტალიურიდამ ნათარგმნის პიესისა („შბედური სიყვარული“), რომელიც იმ დღეს წარმოადგინეს, თითქმის შეუნიშნავად, უ-ტაშოთ, უსიცოცხლოთ გათავდაო. ბოლოს კი სტამბოლელ მოთამაშეებსა და უფ. ჩიმიშკიანს უსახელებიათ თავი არტისტიულის თამაშით.

მოგვყავს თფილისის გაზეთების ჰაზრი ამ სომხურ წარმოდგენის შესახებ:

„ალეკაზის„ რეცენზენტი აღტაცებულია არათუ მარტო საზოგადოთ მთელი ტრუპპის თამაშითა და წარმოდგენის კარგათ გამართვით, არამედ აქტიორების სილამაზითა, ცეცხლ-მქმინავ თვალებით, ლამაზი ტანადობით და სხვ. და სხვ. ამ რეცენზენტს რომ ეკითხოთ, სომხურ ტრუპპას არავითარი ნაკლულეანება არა აქვს, ყოველად სრულია.

„თფილისის მოამბე“ უფრო ზომიერად აქებს სომხურ ტრუპპის პირველ წარმოდგენას. ნაკლულეანებაც მოუნახავს ამ გაზეთს: როლები არ იცოდნენ კარგათაო და ყველა მოთამაშეები ერთნაირად კარგათ ვერ ასრულებდნენ თავიანთ როლებსაო.

„თფილისის ბანცხადებებმაც“ კი გამოსთქვეს ამ ტრუპპაზე თავის ჰაზრი. ამ გაზეთის სიტყვით, ყველა მოთამაშეებმა ნამდვილ არტისტებივით შეასრულეს თავიანთი როლები; მაგრამ უბედურება ის არისო, რომ იმათი სტამბოლური ენა ქალაქის ხალხს ძალიან მძიმედ ესმისო, მაგრამ არა უშავს-რა, მალე შეეჩვევიანო და სხვ.

საზოგადო ჰაზრი, ერთის სიტყვით, ის არის, რომ ეს ტრუპპა კარგი ტრუპპაა და იმედიაო, რომ, თუ შემდეგში არავითარი დაბრკოლება არ ექნა ამ ტრუპპას, სომხური თეატრის საქმე თფილისში მკვიდრ საძირკველზე დამყარდებაო.

მაგრამ, ამბობენ, „მშაკის“ რედაქტორი უფ. არწრუნი უმზადებს ამ ტრუპპას რაღაც დაბრკოლებასაო. „მშაკში“ დაბეჭდილია პატარა შენიშნვა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ უფ. არწრუნი აპირებს ახალ, მეორე ტრუპპის შედგენას, რომელიც იმის კერძო თეატრში გამართავს წარმოდგენებს; საუკეთესო რეპერტუარი და მოთამაშეები იქნებიანო, ფასიც ნახევრად ნაკლები იქნებაო, ვინემ საზაფხულო თეატრშიო და სხ.

საგაასო

პასუხი თელაველ კორრესპონდენტს.

(დასასრული)

ბარდა ყოველივე ზემოთ თქმულისა, უ. კორრესპონდენტი მადებს მე თავზე სხვა დაბრალებებსაც: ა) რომ მე სამი გიმნასტიკის გაკვეთილის ბადლათ ვაძლევდი ორს; ბ) რომ მე სამშაბათს ყოველთვის ვსტოვებდი გაკვეთილს სამოქალაქო სასწავლებელში და ქალებისაში მივდიოდი და გ) რომ მე ხშირად ავათ ვხდებოდი განგებ, და გაკვეთილებისთვის ვემზადებოდი.

უცნობებია ხვანთქრისთვის, მაგ ლეკმან სმა იცის, უჭველად ახალციხეს ერეკლე მეფეს გარდასცემსო. ღამე სიარულში, თავდილად თვითან ხვანთქარს მის კონაღში შესვლისავე შეუნიშნავს, რომ ძალზე ნასვამი ყოფილა: ამისთვის შეუცვლია ბრძანება, ფაშობა ისევ სულეიმანისთვის გაუახლებია და ლეკის ფაშისთვის აბასტუმანი მიუცია სამჯმოდ სიკვდილამდის. ახლა ოცხის ხევის შესავალს რომ მაღალ ვერხვებიანი ბაღჩა არის, იმ ლეკი ფაშის გაშენებულია და დღემდის „ლეკი ფაშის“ ბაღჩას უძახიან,

ასრე დაშლილა ის კეთილი საქმე. ამაზედ ლექსი:

უსუფ-ფაშამ უთხრა მამას: „წავალ,
ენახამ შადიშასა.“
წავიდა და გვერდს მიუჯდა, ტკბილად
მოჰყვა საჩივარსა:
„შენი ჭირიმე, ხელმწიფეე, რისთვის
მართმეე ფაშობასა?
„შენც ხომ იცი, ქახთ ბატონი ორთავ
გარდაგვიწვდენს მკლავსა,
„მას ტკბილობით ვერ გაუვალთ, მელობით
უზამთ ბევრს ავსა,
„თუ მიბრძანებ, ცოცხალს მოგგვერი, თუ
არა და მოესჭრი თავსა!“
—მაგას თუ მიზამ, უსუფო, გაგიახლებ
ფაშობასა,
ტანზე ქურქსა წამოგასხამ, მოგცემ ბურჯის
ქვეყანასა!..

ამ დროს ვიცლა აბდულას მოთაობით ლეკ-ოსმალებმა იწყეს რბევა საქართველოსი. მიუსწრო მეფემ სოლთვისის მინდორზედ, დაესხა თავს, ძლიერად დაამარცხა, დააყრევინა მრავალი ნაშოვარი და განსდევნა. შერცხვენილი აბდულა უკანვე მობრუნდა ხელ-ცარიელი. ეს კარგი მოსული ვაჟ-კაცი ყოფილა შემძლე, ღონიერი და თანაც ტრაბახი. ამაზედაც დაუწყვიათ ლექსი:

აბდაულა შეიკაზმა თოფითა და ხანჯალითა:
„ჩავალ თფილისს, შემოვსდგები, ამოვსწყვეტამ შიმშილითა!“
ეს ერეკლემ რომ შეიტყო, გადაბრუნდა სიცილითა:
„მეფე ერეკლე მოგიკვდეს, ვერ გაგხვეთქო სირბილითა,
„ალჯორი გაგარბევინო, მონასტერი ტირილითა!“

1772 წელს გაუახლდა ფაშობა სულიმინსა და მოვიდა ახალციხეს. ამის წინად ლეკებთან და ოსმალებთან დაკავშირებულნი იყვნენ ქიკნაძეები იმერეთში: სულეიმანის ხელ-ახლავ გაფაშებისა უფრო აესნიენ.

იმდენს ენებას გარეული მტერი ვერ აძლევდა საქართველოს, რამდენსაც აძლევდა ერთი ათად და ოცად შინაური მტერი! იტაცებდენ სადაც არა მგონია ტყვეებს და აბრიდნენ ხელთა ლეკებსა და ოსმალოებსა. იმისთვის ჰქონდათ გატეხილი გული მეფეებსა ქართლისა თუ იმერეთისას და ვერას ჰშველოდნენ საიმისოდ სამშობლოსა. ბარდა ამისა, ეს წერეთელია, ეს ბურიელია, ეს დადიანიო სრულ სხვა-და-სხვა გზა-კვალს ადგნენ. ერთი იმდენი პატარა ქარს ამოექროლა სითგანმე, მაშინვე აჰყვებოდნენ და ასრე შინაგან თუ გარეგან სამშობლოს სულის მოდგმას ყოველის მხრით ფოლხი ეძლეოდა...

ამ წელს მეფე სოლომონის ძმას იოსებ კათალიკოზს 13 მაისისა, კვირის მაგიერ პარასკეობა განუწესებია ოსმალოების პატივად. თუმც იმერეთიდგან ოსმალოების განსადევნელად მრავალი შემწეობა მიუვიდათ რუსებს მეფე სოლომონისთვის, მაგრამ ვერას ღონით ვერ მოუგიათ მისი გული: რუსებისაგან თათრებზედ უფრო ჰქონია ნდობა და ნამდვილ მეგობრული განწყობილება დადიანების ორგულობის გამო!..

ვინმე მესხი

ახალციხე, 29 აგვისტოს.

(ბაგრძელება)

რასაკვირველია, რომ უ. ავტორი აქაც ისეთ სიმართლეს ამბობს, როგორც სხვა ადგილს; ხომ იცით, რომ თავის ცხოვრების მიზნათ მას დაუდევს ბრძოლა მარტო ჭეშმარიტების დასაცველად, მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ის ცხადათ დამიმტკიცებს მე ამ დაბრალებაებს. ახლა ხომ ტიტველ სიტყვების სროლის მეტს არას აკეთებს; ვითომც მოყვანილ მეორე დაბრალებაში, უ. ერთობ განალებული ავტორი უჩვენებს რაღაცა ფაქტს, მაგრამ აქ კიდე უფრო სტყუვა, ვინემ სხვაგან: საქმე იმაშია, რომ მე სამშაბათობით სრულიადაც არ ვაძლევდი გაკვეთილს ქალების სასწავლებელში; მხოლოდ ერთად-ერთხელ როდესაც სამოქალაქო სასწავლებელში ეგზამენები იყო, მე სრული თავისუფალი ვიყავი, მახსოვს, რაღაც აუხსენი მეოთხე კლასს ქალების სასწავლებელში. ამას დაამტკიცებს ყოველთვის თვით ქალების სასწავლებელი, და დანარჩენი ორი დაბრალებაების სიმცრუეს დაამტკიცებს ყოველთვის სამოქალაქო სასწავლებელი.

მე გავათავე, უ. კორრესპონდენტო, თქვენი პასუხის-მოცემა, მაგრამ ვინ ხართ თქვენ ამისთანა მამულის შვილი და რა მტერობა გქონდათ ჩემი? ამის ცოდნა საინტერესოა ყველასთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ვინც უნდა იყოთ,-ეკუთვნით თელაველ პედაგოგების იმ პარტიას, რომელსაც ჩემი არაფერი სწამს და მე მისი; ჩვენ უკმაყოფილება და ბრძოლა გვაქვს და გვექნება, რადგან მას (პარტიას) შეადგენენ იმისანა სულდგმულები, რომლებთანაც კარგ განწყობილებაში ცხოვრება არავის არ შეუძლია, თუ მათი მსგავსი არაა; ამაზე დამეთანხმება მკითხველი, როცა მე მათ მცირედ ხარაკტერისტიკას მოვიყვან.

ამ პარტიას ეკუთვნის ის პედაგოგი, რომელსაც ცხოვრების მიზნათ ფულების შეგროვება დაუდვია და ურიული პროცენტით ასესხებს ფულს, რომელსაც პედაგოგობა არ სურს და პოლიციის ჩინოვნიკობას ეძებს და რომელსაც დიდი სულელური თავმოყვარეობა აქვს და რაც სისულელე უნდა ამოთქვას, არ ჩათქვამს, (მახსოვს, ერთხელ ერთ საზოგადოებაში მოსწავლეების წინ ის ამტკიცებდა, რომ წინადადებაში: книга ученика лежитъ—სიტყვა ученика-სახელი არსობითი კიარა ზეთშესრულიაო და მისთვის არაა приложеніе-ო; ამაში ის თავის დღეში ვერ გავამტყუნეთ: არ დაიჯერა არაფერი და!); ამ პარტიას ეკუთვნის კიდევ ის პედაგოგი, რომელიც ერთ სასწავლებელში ვითომ გალობას ასწავლიდა, ფულებს ღებულობდა და ქვეყანაზე არაფერ სასარგებლოს აკეთებდა, რადგან ამ საქმიდან მას ინჩი-ბინჩი არ ესმოდა; რომელიც ამ ადგილიდამ ძალათ გააგდეს, თორემ ნებით არ მიდიოდა, რომელიც ორი გროშისთვის კაცს დაახრჩობს, რომელიც ჯერ უხეიროთ დათვრება და მერმე ღამე ოჯახებში კარების მტვრევით ვარდება და რომელიც, მზგავსად პირველისა, პოლიციის უნცროს ჩინოვნიკობას ეძებს; ამ პარტიას ეკუთვნიან კიდე ის სამი-თუ ოთხი საღორეში მცხოვრები პედაგოგები, რომლებიც ხუთ-ხუთ მანეთათ თვეში ბავშებს იბარებენ და ამაშიდაც სარგებლობას ხედვენ, რადგან არას ასწავლიან; რომლებიც ფარისევლობას ეწყობიან და არა რცხვენიანთ, პირში არას გეტყვიან და ზურგს უკან კი ორმოს გითხრიან, რომელშიდაც ურევია იმისთანა ჩერჩეტი, რომ ბერძნულ ენას ასწავლის და ამისთვის კლასიკურ განათლებას უფრო სასარგებლოთ ხედავს, ვინამ რეალურს, რომლებიც пошелъ—ს მაგიერათ „пошель“—ანბობენ, და ოც-და-ხუთამდი ძლივს დათვლიან მაშინ როდესაც, ფილოსოფია გვისწავლიაო, ამბობენ; კარგ მასწავლებლებათ მიაჩნიათ თავის თავი და დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ იქაურ საზოგადოებაზე, რომ უკანასკნელმა ისინი ვერ დააფასა.

ყველა ამ პედაგოგებისთვის ყოველივე საშვალობას ამართლებს მიზანი. მაშ, ცხადია, რომ მათგან მე, როგორც მათი მოპირდაპირე წინაამდეგი, უბრალოთ გასვრას, უსაფუძვლო გინებას და ლანძღვას კი არა—უფრო ცუდსაც უნდა მოველოდე.

იმედი მაქვს, ჩემს პასუხს თქვენ, უფ. ავტორო, უყურადღებოთ არ დატოვებთ, სიჩუმე თქვენი მიეწერება ჩემთან თქვენ ცხად სიმტყუვნეს.

ბოლოს არ დავფარავ, რომ ძალიან საინტერესოა ჩემთვის, თუ როგორ „დროების“ საწყალი თელაველი კორესპონდენტი და ჭეშმარიტების თავუკულმა გადამაბრუნებელი დაიხსნის თავს იმ მახიდან, რომელსაც სხვას უგებდა, და თავის დაუდეგრობის და უგუნურობის წყალობით, თვითონ გაება შიგ ორივე ფეხებით.

ლ. ბრიგორაშვილი.

თბილისი, 4 აგვისტოს.

განცხადებანი

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, ივანე კურწოვის მაღაზიაში ისყიდება ნამდვილი, თეთრი **წმინდა** (თაფლის) **სანთელი**

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე თფილისშიაც, სიონის ულიცაზედ, ონანოვის ქარვასლაში.

(10—2)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ.		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურგს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 6 სექტემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	50
ფქვ. წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	40
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაჯენტილი ბამბა ფუთი.	10	60
მატყლი თუშური ფუთი.	8	40
—თარაქამისა ფუთი .	4	10
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	6	20
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	80
ხორცი ძროხისა ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	40
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	15	40
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ყურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Сентября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.